№ 115 | 1877—1894 | № 115

ოთხშაბათი, 1 ივნისი 1894

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახ. ლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადების:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

## „ი ვ ე რ ი ა“

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## დ ა მ ზ ღ ვ ე ვ ი  ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

## „ი ა კ ო რ ი“

(დ უ ზ ა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—6)

ტფილისი, 1 ივნისს

ჩვენი მკითხველი უთუოდ გაოცებული იქნება, რომ ხუთი დღეა, რაც თავად-აზნაურთა კრება გაიხსნა და ,,ივერიას'' ერთი სიტყვაც არ უთქვამს ამ საგანზედ. ეს აზრი თავისთავად იბადება და ამიტომ ვალდებულნი ვართ განვმარტოთ ამდენის ხნის ჩვენის სიჩუმის მიზეზი.

ჩვენ ყოველთვის იმ აზრისა ვიყავით, რომ მორიგი კრება თავად-აზნაურობისა ისეთი შემთხვევაა ამ წოდებისთვის, სადაც თავად-აზნაურობას შეუძლია გულ-გახსნილად ილაპარაკოს, გამოიკვლიოს და იშუამდგომლოს თითოეულის თავისის საჭიროებისათვის.

მართალია, ხშირად მომხდარა, რომ მეცადინეობა კრებისა არ ყოფილა შეწყნარებული, მაგრამ თვით ამ გამოცხადებას და მთავრობის თვალწინ დაყენებას ჩვენის აუცილებელ საჭიროებისას თავისი უეჭველი მნიშვნელობა აქვს და თუ დღეს არა, ხვალ შესაძლოა შესმენილ იქნას. მაგრამ ყოველივე ესე, რასაკვირველია, უნდა იყოს შემუშავებული და დასაბუთებული საფუძვლიანად; თავად-აზნაურობას ესეც ადვილად შეუძლია შეასრულოს, რადგანაც გონება გახსნილი და განვითარებული კაცი საკმაოდ მოეპოვება თვის შორის, რომ მიანდოს თითოეულის საგნის შემუშავება და წარდგენა კრების წინაშე.

ამას გარდა, თვით ამ საგნების სჯას, გამორკვევას თავად-აზნაურობის აწინდელს მდგომარეობისას თავის თავად საკმაო დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ ჩვენ მწუხარებით შევცქეროდით ამ ოთხის დღის განმავლობაში, რომ ყოველი ესე დავიწყებული იყო.

მართალია, ერთმა თუ ორმა წევრმა აღნიშნეს ზოგიერთი საჭიროება თავად-აზნაურობისა, მაგრამ ამ საგნებმაც უმნიშვნელოდ და უყურადღებოდ ჩაიარა. ეტყობოდა, კრება უფრო ფორმალურად ეპყრობოდა თითოეულს წარმომდგარს აზრს და უნდოდა როგორმე მალე თავიდან მოეშორებინა. იქნება ეს ერთის მხრით იმიტომაც მოხდა, რომ 15 დღეს საბანკო კრებამ საკმაოდ დაღალა საზოგადოება და ყველას სურდა მალე განთავისუფლებულიყო. არ ვიტყვით იმას, რომ ჩვენ მიგვეგნოს ნამდვილის მიზეზისათვის, რისთვისაც ასეთი ფორმალური ხასიათი ჰქონდა წრევანდელ თავად-აზნაურთა კრებას, მაგრამ ის-კი უნდა ითქვას, რომ სწორედ ამგვარს შთაბეჭდილებას მოგვრიდა ყოველს გარეშე მაყურებელს... მთელი ყურადღება ამ კრებისა მიქცეული იყო ორს არჩევანზედ, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა საზოგადოება. პირველი იყო გორის მარშლის არჩევა და მეორე გუბერნიის მარშლისა.

გორის თავად-აზნაურობის უმრავლესობამ კიდეც აირჩია ბ. სულხანიშვილი, წინანდელ მარშლად ნამყოფი, თავადის სარდიონ ამირეჯიბიე წინააღმდეგ ახლა ვერ. ვახერხებთ ამ საგნის შესახებ ნამდვილი აზრი დავადგინოთ და განვმარტოთ-თუ რითი უნდა ხელმძღვანელობდეს მეკენჭე, როდესაც ათეთრებს რომელსამე კანდიდატს, და მეტადრე რითი უნდა ხელ-მძღვანელობდეს მეკენჭე აზნაური.

დღეს დარჩა ამოსარჩევად გუბერნიის მარშალი. იმედია საქართველოს თავად-აზნაურობა მიანიჭებს ამ დიდ ხარისხოვან ადგილს ისეთს კაცს, რომელიც სრულიად ღირსი იქნება, წარუძღვეს წინ ჩვენს სახელოვან თავად-აზნაურობას.

პირველი და უეჭველი თვისება თავად-აზნაურობის წარმომადგენელისა ის უნდა იყოს, რომ სამართლიანი, მტკიცე და შეურყეველი აზრი ჰქონდეს თითოეულ მოვლენის შესახებ და პირადის თავის ანგარიშისათვის სამართლის სასწორი არ გადახრის რომელსამე მხარეს.

როდესაც თავად-აზნაურობას წარმოუდგება ასეთის უებარის პრინციპის კაცი, რომელიც ერთს ჟოტის ოდნადაც არ უთავაზებს გამარჯვების სურვილს თავის აზრს რომელისამე საგნის ან კაცის შესახებ, მაშინ ასეთი კანდიდატი, რასაკვირველია, უნდა იქნეს არ ჩეული თავად-აზნაურობისაგან.

გამარჯვების სურვილი, უეჭველად, პატივსაცემი განზრახვაა, მაგრამ დაცვა უმაღლესის სამართლიანობისა და პატივისცემა კეთილისა პირველი მოვალეობაა კეთილშობილების წარმომადგენელთათვის.

მაგრამ ყოველი ესე ჩვენს უმაღლესს წოდებას თითონაც ჩინებულად ესმის და იმედია იმისი თანაგრძნობის ღირსი შეიქნება სწორედ ისეთი კანდიდატი, რომელიც სრულიად შეეფერება საქართველოს თავად-აზნაურობის წინამძღოლობას.

მეველე

## ფელეტონი

(თუ მოგენატროს—ნუ გაგიკვირდება.—კიდეც ის არის მისი უბედურება.—ბრმა მხედველი „წინასწარმეტყველებისა“.—მე მწერალი ვარ.—ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალ.—იცი, როდეს აქეთ?—კარგა ხანია აუჭრელდენ.—„მომავალის დედა ბოძნი“.—ატომ თვით ამ ცნებას არ სდევს.

ძვირფასო მკითხველო! თუ როდისმე მოგენატროს გულის გართობა, სიამოვნება, ჭკუის ვარჯიში და სულის გასპეტაკება—გადაშალე „კვალი“-ს №-ბი, მეტადრე მე-20, 21 და 22!.. იქ ნახავ ისეთს საუნჯეს, რომლის საფასო ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში არა დაწერილა-რა: პირველში წაიკითხავ იმ „დიდებულ მოძღვრებას“, რომელიც გვასწავლის, რომ „მოისყიდეთ მოყვასნი და ძმანი თქვენი განძითა თქვენითა, რათა მათ ბრმათა და განურჩევლად აღასრულონ წადილი და ნება თქვენი, შესახებ საზოგადო საქმისა, თუნდა ეს წადილი და ნება იყვნენ საზიზღარნი, გასაკიცხნი, დასაგმობნიო“!..

მეორეში ამოიკითხავ ამ მოძღვრების გასწორების სურვილს, მაგრამ ისე აკონკილ-დაკონკილს, ისე მოკლებულს გონების და ზნეობის ხასიათს, რომ დამწერის მაგიერად სირცხვილი მომაკვდავის ოფლს მოგგვრის; მესამეში შეხვდებით იმ დიდებულ მოძღვრების თავისებურად ახსნას და განმარტებას; ნახავთ ლექსს, რომლითაც მომავალი ბურჯი ჩვენის მწერლობისა და ახლანდელი ამ ბურჯის ძირი დუტუ მეგრელი, ჰკიცხავს საცოდავს ერთს მცირე მწერალს, რომელმაც, მისის სიტყვით, პირველ მღაღადებელთა წრე დაბადა და რომელმაც ზე-შთაგონება „ჩოთქზე“ გასცვალა; იქ მოიპოვებ „ივან დურაკებზე“ „დონკიხოტზე“, „ფალსტაფზე“ და „ნაცარ-ქექიაზე“ მოგონილ, მოჭორებულ ზღაპარს და იქვე წააწყდები იმ ჩვენთვის სალაღადებელ გუნდზე მითითებას, რომელნიც შეადგენენ ჩვენის ქვეყნის აწმყოს სიმშვენიერეს და მომავლის დიდების და მძლეობის გვირგვინს!.. მერე იცი ვინა ღაღადებს ყველა ამას? სხვების დასახელებით არ მოგაწყენთ, რადგან ისინი იმათ არა ღირან რომ ახსენო, და ერთს-კი გეტყვით. ამას ღაღადებს... აკაკი!.. დიახ! ის აკაკი, რომლის ქნარი ყოველივე ამას ამ 35 წლის განმავლობაში სდევნიდა, სწყევლიდა, ჰგმობდა და ებრძოდა!..

**

ნუ გაგიკვირდება, ჩემო კარგო! ნუ გაგიკვირდება ამისათვის, რომ ქვეყნად არა არის-რა უცვლელი: ყოველივე ბერდება, სუსტდება, ილევა და ხმება!.. ამ კანონს ექვემდებარება კაციც, მისი ზნეობაც, მისი ნიჭიც და მისი ჭკუაც!..

აი, ეს არის მიზეზი იმისი, რომ ვისგანაც არ ველოდით, მან «განძით მოსყიდვა მოყვასის ნების და უფლების» საქვეყნოდ ზნეობრივ კანონად გამოაშკარავა... მაგრამ, როცა ქვეყნის გულშემატკივართა და თვალ-ყურ მდევნელთა, მიუხედავად მღაღადებელის ვინაობისა საპასუხოდ, ძმარ-ქინძი ცხვირში მიართვეს,—მაშინ მოიმხრო ყოველივე თავისი ჭახრაკული სიტყვების მანქანება და მე-21 „კვალის“-ს №-ში სთქვა: „მე ეგ-კი არ მინდოდა მეთქვა, არამედ ესა-და-ეს; მაგრამ თქვენ არა გესმითრა, კაჭკაჭები, სულელები უსუსურები ხართ და ამისათვის ვერ გაიგეთ ჩემი მოძღვრების შინაარსიო. აბა მკითხველო, აიღე ეს ორი წერილი და მიუდგომლად, დინჯად, მოფიქრებით ერთმანეთს შეადარე; შეადარე მათი შინაარსი, და სთქვი თუ პირველი წერილის ისე გადაკეთება შეიძლება, როგორც ის მეორე №-ში არის გადაკეთებული და თუ ყოველმა უსურმა ის არა სთქვას, როხ ამ გვარად ახსნა პირველის მოძღვრებისა, სხვა რომ არა იყოს რა, ურცხვობა არისო!..

**

„აღუ“ ს. გეტყვით, უსუსურები და კაჭკაჭები ხართო... კიდეც ის არის მისი უბედურება და სიბრმავე, რომ მას წინ-მსვლელობის და განვითარების კანონი თავის-თავის შესახებ და საზოგადოების შესახებაც უარყოფილი აქვს და მას ჩვენი საზოგადოება სულ უსუსური ჰგონია, სულ ბრმა, სულ უჭკუო; ჰგონია, რომ მისი ამგვარი ჭახრაკული, მაგრამ ყოველივე შინაგან სიმშვენიერეს განშორებული სიტყვები ყოველკან და ყოველთვის საზოგადოებას მოისყიდის!.. მაგრამ ეს მხოლოდ იმას ესმის ამ გვარად და საზოგადოებას, ახალგაზრდობას-კი თამამად შეუძლიან უპასუხოს: არა, ბატონო! ჩვენ ისეთი უსუსურნიც აღარა ვართ, რომ თქვენი სიტყვები და თქვენი აზრები ვერ გავიგოთ, ის აზრები, რომელნიც ზე-შთაგონებასაც-კი განშორებიან და ცხოვრების ტლაპოში დაცურაობენ და იქ ეძებენ სულიერ საზრდოს; ვერ გავიგოთ, მეტადრე, მაშინ როცა გენიოსთა და ფილოსოფოსთა აზრებიც-კი გაუგებარნი და გამოურკვეველნი არღარ არიან უმეტესობისთვის იმ საზოგადოებისა, რომელსაც თქვენ მშვენიერად უძიძავებთ და „აღუ“ს დასძახით!..

**

21 „კვალი“-ს №-ში ბ. «დამსწრე» თავის „შესანიშნავ მოვლენაში“ სწერს, რომ „წრევანდელმა ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის კრებამ საკვირველად მალე გაამართლა აკაკის წინასწარმეტყველებაო (?!); ჩამოსულ-ჩამოყვანილები მოვიდნენ, დაინახეს, ვინ იყო მტყუანი და ვინ მართალი, სად თეთრი იყო და სად შავი და დღეს საერო სამსჯავრომ ყოველსავე ამაზე დაადგინა თავისი განჩინებაო და სხვ...“

ნება გვიბოძოს ბ. „დამსწრემ“ ვკითხოთ: რას უძახის წინასწარმეტყველებას და სად არის ეს წინასწარმეტყველება? თუ წინასწარმეტყველება იმაში მდგომარეობს, რომ მოქრთამებას და სვინიდისის მოსყიდვას უნდა შეუდგეს ყოველი საზოგადო მოღვაწე, თავის ბილწვნებას დაემონოს ადამიანი, რომელიც მაზედ უფრო დაბლათა სდგას სულიერად და გონებით; თავის ბრმა, ყურ-მოჭრილ ყმად და იარაღად გაიხადოს,—მაშინ ბ. „დამსწრესათვის“ მიგვირთმევია ციხე-დარბაზი აკაკის მიერ მოწოდებულ გამოცანის ახსნისათვის; და თუ წინასწარმეტყველებას ის უწოდებს იმ ქცევას, რაზედაც უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა დაადგა ამ უკანასკნელ არჩევანების დროს,—მაშინ ნურას უკაცრავად, თუ გულ-წრფელად ვუპასუხოთ, რომ აკაკის ეგ ფი-

# ახალი ამბავი

*** გუშინ იქმნენ არჩეულნი მაზრის მარშლებად: ტფილისისა—თავადი ბებუთოვი, გორისა—ბ. სულხანიშვილი, თელავისა—თავად. დიმიტრი მაყაშვილი, სიღნაღისა—თავადი ანდრონიკაშვილი, ბორჩალოსი—თავადი კ. ორბელიანი, დუშეთისა—თავადი ლ. ბაგრატიონ-მუხრანსკი.

დღეს უნდა იქმნეს არჩეული გუბერნიის მარშალი.

*** ახალ-არსენალის ქუჩაზედ, ზაალიშვილის სახლებში, გუშინ-წინ 30 მაისს, ერთი უბედური შემთხვევა მოხდა. დილის 9 საათზედ სახლის პატრონებს მოესმათ დამბაჩის ხმა; მიცვივდნენ ამ ხმაზე და თვალ-წინ წარმოუდგათ მკვდარ-ცოცხალი კაცი, რომელიც იატაკზე ეგდო სისხლში ამორეული. ეს იყო ა. ი-ძე გ—ვი, რომელსაც განეზრახა თავის მოკვლა, მაგრამ ეს განზრახვა სრულიად ვერ აასრულა: თურმე დამბაჩა მარცხენა საფეთქელში დაუმიზნებია, მაგრამ ასცდენია პირი დამბაჩისა და მარცხენა თვალის ქვეშ ძვალში დაუცია; ტყვია აქედამ წასულა, გაუკდია ცხვირის ძვალი და მარჯვენა თვალი ამოუგლეჯია სრულიად. ჯერ არ იციან ტყვია ძვალში ჩარჩა თუ გარედ გამოვარდა.

დაჭრილი გ—ვი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს' დაუყოვნებლივ და, როგორც ექიმს უთქვამს, ჯერ-ჯერობით შიში არ არის იმის სიკვდილისაო. რა მიზეზმა აიძულა გ—ვი სიცოცხლის გამომეტებაზე ჯერ არ იციან, მხოლოდ იმასკი ამბობენ, რომ წინა ღამეს თურმე ძლიერ ნასვამი მოსულა სახლში და დიდი ჩხუბიც გაუმართავს თავის სახლობასთან.

*** სოფ. ხატის-თელეთში, ტფილისის მაზრაში, ამას წინედ ჭირი გაჩენილიყო საქონლისა. მაზრის უფროსმა, თავ. ლ. ჯანდიერმა ეს ამბავი ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს აცნობა და თან ისიც სთხოვა, ექიმი გაჰგზავნეთ, ჭირის მოსასპობლად ღონე იღონოსო. გუბერნატორის მოადგილემაც გაჰგზავნა უფროსი ბეითალი ბ-ნი ბოლოტოვი. ამანა და მაზრის უფროსის თანაშემწემ ნ. მამიკონოვმა გამოიძიეს, რომ თავდაპირველად ჭირი ჩამოუტანიათ ხატის-თელეთის საზოგადოებაში ბორჩალოს მაზრიდამ, სოფ. წალკიდამ მორეკილის საქონელით, რომელიც თათრებს მოერეკათ აქედამ. მაისის შუა რიცხვებამდე ხატის თელეთში 48 სული საქონელი გამხდარა ავად, აქედამ 31 დახოცილა: სოფ. წალასყურში 16 ავადმყოფ საქონლიდამ 14 დახოცილა, და ამაზედ ჭირის ძალა შეჩერებულა, ასე რომ დღეს ერთი საქონელიც არ არის ავადმყოფი.

ბ-ნ ბოლოტოვის რჩევით, მაზრის უფროსმა მაინც გასცა ბრძანება, რომ დაუყოვნებლივ გასწმინდონ ამ ზემო ხსენებულ სოფლებში ქუჩები, ეზოები და ბაკები, გამოჰზიდონ აქედამ ყოველივე ნაგავი და ასხურონ კირ-ნარევის წყალითა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნილებით კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიამ ამ დღეებში დაიბარა კავკასიის ყველა გუბერნატორისაგან შემდეგი ცნობები: ა) რომელ კათოლიკეთ ეკკლესიას, გარდა რომისა, აქვს თავისი სკოლა, ბ) როდის გაიმართა ასეთი სკოლა; გ) რამდენი მოსწავლეა ამ სკოლაში; დ) რა საშუალებითა არსებობს; ე) ვინ არის მმართველი სკოლისა და რა წესით ჰმართავს და ვ) საზოგადოდ ისეთი ცნობები, რომლის შემწეობითაც შეიძლება სრული წარმოდგენა ჰქონდეს კაცს ყოველს იმისთანა სკოლაზედ, რომელიც დაარსებულია კათოლიკეთ ეკკლესიასთან. როგორც ზემოთ ვთქვით, ესეთი ცნობები იკრიბება არა რომის კათოლიკეთა სკოლების, არამედ სხვა კათოლიკეთ სარწმუნოების სკოლების შესახებ.

*** ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ნება დართო, რომ რუსეთში მცხოვრებ სომეხ-გრიგორიანებმა შეწირულობანი შეჰკრიბონ ოსმალოს მხარესა და ერევნის გუბერნიის დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ. ამ შეწირულების აკრეფვა შეიძლება მხოლოდ საკუთრივ სომეხთ ეკკლესიებში და იმ დრომდე, სანამ მართლაც საჭიროება მოითხოვს ამასაო,—გამოცხადებულია კავკასიის მთავარ მმართებლის კანცელარიის განკარგულებაში ამ საქმის შესახებ, ე. ი. სანამ ახალი მოსავალი მოვიდოდეს. გარდა ამისა უცხოეთის სომხებისათვის შეკრებილი შემოწირულობა უთუოდ უნდა გაიგზავნოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელით.

ესეთი უმაღლესი ნებაყოფლობა შინაგან საქმეთა მინისტრს უცნობებია სომეხ-გრიგორიანთა პატრიარხკათალიკოსის მკრტიჩისათვის და მთავარ-მმართებლის კანცელარიას შეუტყობინებია ჩვენის ქვეყნის ყველა გუბერნატორისათვის, რომ იცოდნენ ესე გარემოება და თავის მხრითაც საჭირო განკარგულება მოახდინონ.

*** ორშაფათს, 30 მაისს, დილით წყლის პირის ქუჩაზედ დაიქცა ეკატერინე ვარლამოვის სახლის ფლიგელი, თვით ეს სახლი ორსართულიანი იყო. ამ სახლში სამი სახლობა სდგას და ყველას გამოეცხადა, დასცალეთ სახლიო. გუშინ წინ ქალაქის არხიტექტორმა დაათვალიერა და საშიშოდ დაინახა ამ სახლში ცხოვრება. არხიტექტორის ავე სიტყვით, საჭიროა მთლად სახლის შეკეთება, რომელიც ოპეკუნმა ორ თვეს უნდა დაამთავროს. ვარლამოვის შენობანი პრიკაზშია დაგირავებული და რადგან გარდასახადი არ შეუტანიათ, საჯაროდ გასასყიდად ყოფილა დანიშნული, მაგრამ მსყიდველი არავინ აღმოჩენილა.

*** ორშაბათს, 30 მაისს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განაჩენი გამოაცხადა ბ. პლიუშჩევსკის საქმის შესახებ, რომელითაც „ახალი მიმოხილვის“ ნარედაქტორალ უსპენსკის დიფამაცია ჰბრალდებოდა. სამოსამართლო პალატამ ბრალდებულად იცნო უსპენსკი და მიუსაჯა 5 კვირით დაპატიმრება ჰაუპტვახტში და სასამართლოში საქმის წარმოების ხარჯიც მასვე დააკისრა. ბრალდებული კასსაციის შეტანას აპირებს სენატში.

*** მოვიყვანთ მოკლედ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების დადგენილებას. 29 მაისს კრებამ დაადგინა, რომ ვინაიდგან მთავრობამ ნება არ მოგვცა კახეთში რკინის გზა გავიყვანოთ მისის თავმდებობით, ამიტომ ხელ-მეორედ ვითხოვოთ ეს ნებართვა და ჩვენი თხოვნა ამ ახალის გარემოების შესაფერად წარვგზავნოთო. 30 მაისს თავ. გ. მ. თუმანიშვილმა კრების ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კარგი იქმნება კვლავ ვიშუამდგომლოთ, რომ ჩვენშიაც იყოს ერობა შემოღებული იმ სახით, როგორც რუსეთშიაო. დაადგინეს: ამის განხილვა მიენდოს თავად-აზნაურთა წინამძღოლის მიერ ამორჩეულს კომისიას, რომელსაც თავ. თუმანიშვილმა ამ საგნის შესახებ დაწვრილებით უნდა წარუდგინოს წერილად თავისი აზრი, და კომისიამ კიდევ ეს საგანი მომავალს მორიგს, ანუ საგანგებო კრებას მოახსენოს. წაკითხულ იქმნა აგრეთვე სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ი. ს. ანდრონიკაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი სათავად-აზნაურო სათადარიგო პურის მაღაზიების გამართვის შესახებ. ამ პროექტის განხილვა და აგრეთვე თავ. დ. თუმანიშვილის პროექტისა ელევატორების შესახებ გარდაეცა განსაკუთრებულს კომისიას, რომელიც ჯერ კიდევ 1891 წელს იქმნა ამორჩეული.

*** მთაწმინდობას, ხუთშაბათს, ორს ივნისს, მთაწმინდის მ. დავითის ეკკლესიაში მწირველი იქნება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი.

*** ჩვენ მოგვივიდა რუსულ-სომხური ლექსიკონი ტომი II, შედგენილი აბესალომ იოანნესიანცისაგან. ამ ლექსიკონში სიტყვები ასო „ო“-ნიდგან იწყება და ბოლომდინ არის დასრულებული, შეიცავს 667 გვერდს. წიგნი მშვენიერად არის გამოცემული და ღირს 4 მანეთი.

*** დ. ძველი-სენაკი: ყოველ ამაღლება დღეს აქ დიდ-ძალი ხალხი იყრის თავს სხვა-და-სხვა სოფლებიდან და მოაქვთ სოფლის ნაწარმოები, მაგ. აბრეშუმეულობა, კარგი აბრეშუმის ქსოვილი დარაიები, ჩოხა და სხ.-დასხ. წელს კვლავინდებურად გაიმართა ვაჭრობა, მაგრამ, საუბედუროდ, სოფლებიდამ ჩამოტანილ მატერიებში ბაჟი მოითხოვეს, ეგრედ წოდებულ „მოიჯარადრეებმა“. ამ გარემოებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა სოფლელებსა და იჯარადართ შუა, და სანამ ბ-ნმა ბოქაულმა არ გამოიძია ეს საქმე, მანამდი „მოიჯარადრეებმა“ ნება არ მისცეს სოფლელებს გაეყიდათ რამე. ბოქაულმა ფიცხლავ მოსთხოვა „მოიჯარადრეებს“ ქაღალდები თუ რაში უნდა აეღო ბაჟი. ამ ქაღალდში აღმოჩნდა, რომ სოფლიდან ჩამოტანილ მატერიებში და წვრილმან გასასყიდში ბაჟი არ გამოერთმევაო. ამ სამწუხარო ამბავმა უამისოდაც დაქვეითებული ვაჭრობა მიწასთან გაასწორა... საუბედუროდ, ჯერ კაცი არ მოსწრებია ამ გვარ ქესატობას. ხშირად გაიგონებთ „დავიღუპეთ, ბატონებო დავიღუპეთ“-ო. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, სიმინდის ფასის და-

---

ქრშიაც არ მოსულია და რომ ჩვენი საზოგადოების შეგნება და სულის ძალა დღეს იქამდისინ არის მიღწეული, რომ მას ,,კრიმანჭური‘‘ და ფლური ვერ მოხიბლავს და ყოველთვის, როგორც დღეს, საკეთილო, სამართლიან და პირდაპირ გზას დაადგება!.. და ვინც ამას ამ გვარად არ განსჯის, ვინც აკაკის ,,კვალის‘‘ მე-20 №-ში მოძღვრებას რაიმე რიგიან წინასწარმეტყველებას დაუძახებს, ის იქნება ბრმა მხედველი წინასწარმეტყველებისა!..

**

მაგრამ ძვირფასო მკითხველო, არ დაღონდე, იმედი არ დაჰკარგო!..თუ ერთი მწერალი, რომლითაც დღემდის თავი მოჰქონდა ჩვენს ერს, დღეს ვარდ-ყვავილების ნაცვლად მყრალ ბალახ-ბულახს უძღვნის საზოგადოებას, სამაგიეროდ ჩვენ გაგვიჩნდა მეორე მწერალი, რომელსაც ჭოგრზე ფარადინიჩამოუცვამს, დროშის მაგიერად გამოუტანია დ ზედაც მედიდურად დაუწერია: „მე ვარ მწერალი“. ჩვენ რომ რაიმე შეცოდება, უმართლობა არ მოგვივიდეს მისს დაფასებაში,—აი, აქ მოგვყავს მისი ლექსის ის ადგილები, რომელიც შეადგენენ მისს დროშაზე წარწერას:

„ჰო, მწერალი ვარ და ჩემი სიტყვა
მინდა ჩემ საქმეს ეწონებოდეს“...

როდესაც კაცი, ლიტერატურაში ჯერ უსუსური, გამოვა და ასე დარწმუნებით, ასე თამამად, ასე საჯაროდ თავის დიდებას ხალხს სათაყვანოდ წინ დაუყენებს, რასაკვირველია, რომ იმას კარგად ექმნება თავის შემომქმედობის და სულის ძალა შეგნებული, თავისი საქმე და სიტყვა შეკავშირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ღაღადი თავის საკუთარ დიდებაზე უნდა გაისინჯოს, ან როგორც შედეგი უკიდურესის სისულელისა, ან როგორც შედეგი უკიდურესის უსირცხვილობისა!.. „მე ვარ მწერალის“ სიტყვა არ ვიცი რომელ ერთს ეკუთვნის: შეგნებულ და ღირსეულ თავისათვის დაფასებას, მეორე, თუ მესამე მაგალითს და ამას-კი ვიტყვი, რომ კიდეც ის არის სავაგლახო, რომ სდომით იქნება უნდოდეს, მაგრამ ნამდვილი მისი სიტყვა-კი ერთმანეთზედ ისე შორს არიან, როგორც დედა-მიწა და მეშვიდე ცა!..

„ჰო, მწერალი ვარ და მხოლოდ მისთვის
ავიღებ ხოლმე ხელში მე კალამს,
რომ შევაძულო ყველას ის, რაც მძულს
და შევაყვარო-, რაც მიყვარს და მრწამს!..“

ახირებული აზრი გახლავთ სწორე მოგახსენოთ! მწერალმა, რომ ის სთქვას: უნდა ქვეყანას შევაძულო, რაც შესაძულებელია და შევაყვარო, რაც შესაყვარისიაო,— ეს კიდევ მესმის, მაგრამ იმის-კი რა უნდა მოგახსენოთ, რომ იმან თავის საკუთარ პირის გემოზე და ფანტაზიებზე მატაროს!.. იქნება იმას მზის სხივი სძულს და სამარის სიბნელე ნეტარებად მიაჩნია—მეც სამარე შევიყარო? იქნება მას მაწონი სძულს და მახოხი უყვარს—მეც მახოხით გავიბერო? იქნება მას საკუთარი აზრის და რწმუნების ქონება სძულს და უპირატესობას სხვისის აზრების დამოწმებას და განმეორებას აძლევდეს—მეც თუთიყუშივით სხვის (იქნება ცრუ) კრიმანჭურები ვიმღერო? არა, ბატონო მწერალო, მაგგვარი მოძღვრება თქვენთვის შეინახეთ და საზოგადოება-კი მაგას ვერ იწამებს და ვერ გაჰყვება!..

„ხვალ-კი, რომ ფინჩხას აღარ გადუყრი,
იუდასავით გადაგიდგება,..“

მართალია, მართალი, ბატონო „მე ვარ მწერალო“!.. მაგრამ ისიც მართალია, რომ ხანდახან ადამიანისაგან თავის ნაკლულევანების აღიარება განსჯის დროს მას სასჯელს შეუმცირებს... ამ ნათქვამის სიმართლე მაშინ უფრო გამოაშკარავდება, როცა პატივცემულ «კვალს» ფინჩხა შამოელევა, ვეღარავის მიაწოდებს და... „იუდასავით გადაუდგება“... თორემ ერთი ანდაზისა არ იყოს: კიდევ გნახამ ლიახვოო...

მართალია ისიც, რომ ყოველ სულით და გრძნობით დაცემულ ადამიანს, კუჭის საკვების მიმდევარს, რომელსაც გრძნობის სიდიადე, მოვალეობის წინაშე სიფაქიზე და ქვეყნის მოღვაწეთადმი სასოება ჩირადაც არ მიაჩნია, არც შეუძლიან და არც ნება აქვს გაბედოს იმ ტალახის სროლა უმჯობესთათვის, რომელშიაც თითონ გორავს!..

არც ის არის ტყუილი, რომ ზოგიერთა ვაჟბატონები, რომელთაც სალიტერატურო, სამწერლო დროშა ამაყად ხელში აუღიათ, სწორედ „ჩოთქს“ ეძებენ გამწარებული თითონ და იმავე დროს ამ გვარ ცოდვებზედ ხმა მაღლა ღაღადებენ!..

„ვინც ზნეობრივი სიმახინჯეა,
და გონებრივი არარაობა,
ვის დროშაზედაც მხოლოდ სწერია:
პირმოთნეობა და უაზრობა“...

ასე კარგია, ღმერთს გეფიცები, როცა თამამად საკუთარ დროშას ხელში დაიჭერ!.. გარდა იმისა, რომ ხალხი „დროშიანს“ დაგიძახებს; გარდა მისა, რომ ხალხის მსჯავრი და საერო გრძნობა იმ დროშაზე შესაფერ ქებას დაგიწერს,—ყოველივე ამის გარდა საკუთარი შენი დროშაზე წარწერა თვალწინ გექნება, (როგორც მაგ. ბ. დუტუ მეგრელს) და ადვილად, შეუმცდარად შეგეძლება იმის გადმოწერა!..

„ო მწერალი ვარ და ვერ შეგინდობ(?!)
მწერალს მწერლობის გათახსირებას“...

დაგვიდექი, თუ ქრისტე გრწამს, მკითხველო, „მე ვარ მწერალთან“ მოციქულად, რომ მან, მისმა პატრიარხობამ, მწერალთა უმჯობესმა მოძღვარმა, შეუნდოს საწყალს მწერალს ეს ერთი შეცოდება!.. გამოსთქვას მწერლობის გათახსირებაზე თავისი მიტევება, რადგან დარწმუნებული ბრძანდებოდეს ეს შენდობა და პატივება სწორედ იმასვე ერგება, გამოადგება!..

**

უნდა გითხრა სიმართლე—ამ ლექსს რომ ვკითხულობდი მომაგონდა შემდეგი ანდაზა; „ჩემი შენ გითხარ, გული მოგიკალო“... გულის მოკვლის-კი რა მოგახსენოთ, რადგან ჯანსაღს გულს ნაცარ-ქექიათა ისარი ვერც გაჰგმირავს და ვერც მოკლავს და პირველი ნაწილი-კი მართალია!.. ჩვენის ფიქრით, თუ რომელიმე ყვინჩილა საკენკს თვითონ დაეძებს, რომ მითი თავისი ცალიერი ჩიჩახვი გამოიძღოს, (ეს რომ ასეა—ამას თვით ბ. „მე ვარ მწერალიც“ უარს ვერა ჰყოფს), ის-კი არ უნდა იკაკანოს სხვა ეძებს საკენკსაო, არამედ გულწრფელად უნდა აღიაროს თავისი საგანი; გულწრფელად უნდა აღიაროს ისიც, რომ ამ მკარ საპოვნელი საკენკის ჩაყლაპამ ბევრი სამართლიანი მსჯელობა და აზრი, წარმოსათქმელად გამზადებული, ძალა უნებურად გადააყლაპა მას!.. თორემ ეს იმას მაგონებს ერთს გაიძვერას რომ დასა-

წევაა. ნუ თუ ამ სამწუხარო გარემოებას არაფერი არ ეწამლება?.. ნეტავი ვიცოდეთ, რა გამოიკვლია ქუთაისში შემდგარ კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა სიმინდის ფასის დაწევის მიზეზთა გამოკვლევა!..

*** ახალ-სენაკი: 12 მაისს, ახალ-სენაკის სამოქალაქო სკოლაში რუსული კონცერტი იყო გამართული სასარგებლოდ ამავე სკოლის მუსიკის მასწავლებლის ა. ა. ბეიერისა. კონცერტმა კარგათ ჩაიარა. არა უშავდა-რა, რომ ქართული სიმღერებიც გაერიათ, რადგანაც, თუ არ მეტი, ნახევარი მაინც ქართველები იყო. ანტრაქტებში მუსიკა უკრავდა. შემოსავალი სულ თოთხმეტ თუმნამდე იყო.

*** ს. სვირი: ეს სოფელი ღვინის მოსავლით ყველა სოფელზედ უფრო ნაქები იყო, მაგრამ ეხლა-კი სენმა სიცოცხლე მოუსპო. აქ ხშირად არის იმისთანა გლეხი, რომელსაც მოუყიდოდა ღვინო არა ნაკლებ 2,000 მანეთისა. წრეულს-კი ეს ვენახები გახმა და ასჭრეს კიდეც. სიმინდის მოსავალი აქ ძალიან ნაკლებ მოდის.

*** ს. სამტრედია: აქ ჩამოტანილ სიმინდს აწონის დროს თურმე ძალიან აკლებენ წონაში ვაჭრები. ერთს გლეხ-კაცს ამას წინად ჩამოუტანია ასი ფუთი სიმინდი გასასყიდად და როდესაც ასწონა ვაჭარმა სტურვასმა, წონაში ათი ფუთი დააკლდა, გლეხ-კაცმა გასინჯა სასწორის ქვა და სიყალბე შეამჩნია. კარგი იქმნება ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

*** 30 მაისს, დავით ვარლამოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ წყლისპირის ქუჩაზედ ოთხიდგან 100 მან. ღირებული ორი ცხენის უღელი („ხამუტი“) მომპარესო.

*** ამავე დღეს კოჯრის ქუჩაზედ სოფიო შადინოვის სახლი მოირღვა და რამდენიმე მუშა მსუბუქად დაშავა.

*** ამავე დღეს თამამშოვის ქარვასლაში მოვაჭრემ იაგორ ბექანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემს ნოქარს არშაკ წოვიანოვს 427 მან. გავატანე სახელმწიფო ბანკში შესატანად და ფულიანად სადღაც გაჰქრაო.

*** ამავე დღეს პოლიციელებმა შეიპყრეს გეურქ კარაპეტოვი, რომელსაც კახეთის ქუჩაზედ მიკიჩ არუთინოვისაგან ხუთი ცხვარი მოეპარა და მიჰყავდა.

*** ამავე დღეს ერევნის მცხოვრებელმა სამსონ ყაზაროვმა მადათოვის კუნძულზედ ტანთ გაიხადა, მტკვარში გადავარდა და მეორე მხარეს გაცურვა მოინდომა, მაგრამ წყალმა დასძლია და დაირჩო.

## ნაწყვეტი

მხედარო, მითხარ სისწორით:
ომში რო მიხვალთ კრებული,
რა გიძევს გულში შენ მაშინ,
ვისთვის ხარ თავ-დადებული:
მომმე-ქვეყნისა ხსნისათვის?
„ჩინის“ ხარ მოწყურებული?
თუ მაჩანჩალა ლაჩარი—
«დასციმლიხიდამ» ვნებული?

დ. მაჩხანელი

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

18 მაისი

კრება გათავდა და ეხლა უფრო თავისუფლად შეიძლება წერა სახელდახელოებისა, რათა უკვდავ და სამარადისოდ სახსოვარ ვყოთ ბუმბერაზნი და დევ-გმირნი ოპოზიციისანი. არ-და შევეხებით ლოჟებსა და ქანდარას. საკმარისია ვსთქვათ, რომ „ჩვენნი ღუტანი“ მრავლად დაბრძანდებიან კრებაზედ და თავისის ცეცხლის მფრქვეველ, ჩაკუპრულ თვალებით აქეზებენ „ორატორებს“...

ეს დღე შესანიშნავი დღეა ოპოზიციისათვის. ამ დღეს მმართველობის წევრმა და ოპოზიციის მეთაურმა გამოაცხადა: მე დღეიდგან ბაგეთა ჩემთა, მრავლად და უგზო-უკვლოდ მეტყველთა, დავადე ბოქლომი სიჩუმისა და ვსდუმებ, თუნდა მთა მთას ეცეს და ალქიოდგანაცკი დეპუტაცია მომივიდეს, ოღონდკი ილაპარაკე და ბეად ამოგირჩევთო.

ასლად ნაბარტყი ორატორი გიღო. ბატონებო, მეც იმისს გვარისა გახლავართ. მეც ვიცი ლაპარაკი. საზოგადოდ ჩვენის გვარისა ყველა მოლაპარაკეა. ნურა გეფიქრებათ-რა, მეც თუ მოვუშვი შადრევანი სიტყვისა, ერიპააა... წვალ და წვალ ჩემის ძმის ორატორ „მიშოს“ კვალზედ. შესანიშნავი გვარი გვაქვს, დიაღ... უპირველეს ყოვლისა გთხოვთ გამოიკითხოთ, ვინ დაადო ოპოზიციის მეთაურს ბაგეთ კლიტე სიჩუმისა? რად დაადო? ერთის მხრივ კარგია კლიტის დადება, რადგან სიტყვას ვეღარავინ მოჰპარავს, მაგრამ მეორეს მხრივ დიდად სამწუხაროა, ვინაიდგან ჩვენ მოვაკლდით სმენასა სიტყვით წყლიანისასა.

ელიოზიშვილი. 15 მაისს კიდევ მე გარეთ უნდოდათ გავეყვანე. ეხლა კიდევ ჩვენის მეთაურისათვის კლიტე დაუდვიათ. ეს დიდი უსამართლობაა. „მე ძაღლი არ გახლავართ“.

აქ თ. ი. ჭავჭავაძემ დაიწყო ლაპარაკი. ოპოზიცია ფეხებს აბაკუნებს, სკამებს არახუნებს, ტუჩებს ასისინებს, სიჩუმე და მშვიდობიანობა ნაჭერ ნაჭრად არის დარღვეული... განსაკუთრებით დევ-გმირი გაზეთის თანამშრომელი, სოსლანად წოდებული, ჰღელავს. ჭავჭავაძის ლაპარაკი ბნედას მოჰგვრის ხოლმე. ელდა ეცემა, თ. ჭავჭავაძეს ტაშს რად უკრავენო, და ჰყვირის:

— ბ-ნო კრების თავმჯდომარევ, გთხოვთ სცენაზედ მყოფ ბანკის მოხელეებს მკლავები დააჭრათ, რომ ტაშში აღარ დაუკრან მმართველობის თავმჯდომარეს.

„ორატორი მიშო“. ორი დღეა ვეღი, რომ ერთი თავი მოვხსნა მეც ჩემს ლაპარაკის გუდას. ეხლა-კი, რა-კი ნება მომცეს ლაპარაკისა, აბა მიყურეთ რა უნარი გაჩვენოთ სიტყვაშადრევანობისა. ბატონებო, თუ გცალიანთ, შვიდს დღესა და შვიდს ღამეს „ვიტყვი და ვიტყვი შაირსა“... თუ არა გცალიანთ, თუნდა ერთს თვეს ხმას აღარ ამოვიღებ. ღმერთს გეფიცებით; მეც ვიცი დაჩუმება. თუმცა, მართალია, ძნელია ჩემთვის ხმის ამოუღებლობა და თუ არა ვსთქვირა, ავად ვხდები ხოლმე, მაგრამ რა გაეწყობა... გადავალ საქმეზედ. აქ ერთი გამოცანა უნდა მოგახსენოთ და ვინც გამოიცნობს, იმის სურათს პუშკინის ბაღში, სადაც ამ ჟამად დაბანაკებულია ოპოზიცია, ჩამოვკიდებთ მშვენიერის ჩარჩოთი. მაშ დავიწყებ. საათი დანიშნეთ და ჰნახავთ, თუ საათ ნახევარი არ ვილაპარაკო. თუ მოგეწყინოთ, სადაც მეტყვით, იქ შევწყვეტავ. ნუ გეშინიანთ, ამით ჩემს ნათქვამს არა დაუშავდება-რა, სადაც უნდა შევწყვიტო, რადგან აზრი და ლოგიკა შიგ ჩატანებული არ არის და არც მაქვს, თორემ თქვენთვის არ დავიშურებდი. დიაღ, დავიწყებ. წუხელი სიზმარი ვნახე. თიანეთის მთაზედ ავსულიყავ. ბურუსი მეხვია. სიფრთხილით მივდიოდი, რადგან, მოგეხსენებათ, უგზო-უკვლოდ ვიცი სიარული და მეშინოდა არსად გადავჩეხილიყავ. უცბად ძაღლის ყეფა შემომესმა. მესიამოვნა. პირჯვარი გადავიწერე. გავყევ ძაღლის ყეფას, ვიარე, [illegible] და პუშკინის ბაღში მივიყვანა. აქ უფრო შემომეხვია ბურუსი, ჩემს ცხვირს მევე ვერა ვხედავდი. ვიფიქრე, რა ამბავია ჩემს თავს, ან თვალები მაკლია, ან ცხვირი-მეთქი. ვიტაცე ცხვირზედ ხელი და, მადლობა ღმერთს, იქავე მქონდა. ვიტაცე თვალებზედ ხელი და თურმე მეცა და ოპოზიციის ყველა წევრსაც შავი სათვალეები გვქონია აფარებული. დავუწყეთ ერთმანეთს ცემა თვალებში და ჩავუმსხვრიეთ სათვალეები. ბურუსი გაიფანტა, დავინახე ჩვენიგოლიათი მსესხებელი „ნიკო“ და ძმურად გადავეხვიე, ორივენი ღმერთს მადლობასა ვსწირავდით ბურუსის განფანტვისათვის... ეს გახლავთ ჩემი გამოცანა. აბა გამოიცანით, რა გამოდის ამ ბურუსიდგან. (ოპოზიცია სცდილობს გამოიცნოს, დიდად ჩაფიქრებულია, მაგრამ ვერაფერს მიმხვდარა). კარგია, გეყოფათ თავის მტვრევა, მე გეტყვით. ამ ბურუსიდგან ის გამოდის, რომ თ. ილია ჭავჭავაძე მავნებელია ყველა საქმისა. ცუდად მოექცა, ჩვენს საუკეთესო კაცებს—გრ. ორბელიანს, დიმ. ყიფიანს და სხვებს. ამ ბურუსიდგანვე აშკარადა სჩანს, რომ თ. აკაკი დიდი მეცნიერი მწერალია, თ. ფაღლენიშვილი საუცხოო ბუხგალტერია, ბ-ნი სულხანიშვილი [illegible]ნიერი წინამძღოლია გორის თავადაზნაურობისა. დიაღ, სულ ჭავჭავაძეს ბრალია. 1881 წელს ვნახე, რომ ვიღასაც ჰმარხავდნენ. თურმე გრიგოლ ორბელიანი იყო. ძალიან გამიკვირდა, უჩემოდ როგორა ჰმარხავენ მეთქი. წარმოიდგინეთ, მე არ ვიცნობდი გრ. ორბელიანს და, ქვეყნის სამწუხაროდ, არც ის მიცნობდა. ვისი ბრალია ესა, თუ არ ჭავჭავაძისა? ეხლა დავუბრუნდები ისევ ბურუსს. ამ თერთმეტის წლის წინად ოპოზიციის წევრთა შორის მარტო მე მეხვია ბურუსი. ეხლა-კი ჩვენში, როგორც ჰხედავთ, ისე იმატა ბურუსმა, რომ ყველანი შიგა ვართ გახვეულები. ნუ თუ ეს ღვაწლად და სამსახურად არ ჩამეთვლება, რომ ამოდენა ბურუსი შემოვიტანე ბანკის საქმეში?!. ეხლა, ჩემის ლაპარაკის შემდეგ, ხომ დარწმუნდით, ბატონებო, რომ თ. ჭავჭავაძე სტყუის და მეოთხე წევრი მმართველობისა სრულიად არ არის საჭირო. ცოტა დავიღალე და აქ შევწყვეტავ ჩემს ლაპარაკს. გაგრძელება იქნება. ჯერ კიდევ ეს საათ ნახევარის ლაპარაკიც გეყოფათ, ესეც საკმაო ბურუსს შემოგახვევთ.

ამ ლაპარაკის დროს მთელი თეატრის დარბაზი მოცულია ბურუსით და არავინა სჩანს. უკაცრავად, სჩანან ორნი ახალნი ორატორნი „სოლო“ და „გილო“...

ორატორი „სოლო“. ერთი «ВОПРОСЪ»-ი მაქვს და, თუ ღმერთი გწამთ, ამიხსენით.

---

ჰერად მისდევდა ხალხი და ის-კი წინ გარბოდა და უსირცხვილოდ გაიძახოდა: „არ გაუშვათ, დაიჭირეთ გაიძვერაო“!..

**

იცი, მკითხველო, როდეს აქეთ შეადგინა ამგვარი აზრი „მე ვარ მწერალმა“ „მწერლობის გამათახსირებელზედ“? მას აქეთ, რაც მას უპასუხეს: „მწერლობის გამათახსირებლის“ ქარხანა ყველა თქვენს ნაწარმოებს განურჩევლად ვერ მიიღებსო; მას აქეთ, რაც გაჯავრებულმა სხვა ქარხანას მიაშურა და იქ ყოველი თახჩა დაუცალეს მისი ნაწარმოების დასაწყობათ... სწორედ მას ჟამსა შემდეგ, „მიეკედლარა იგი გუნდსა ფარისეველთასა“, დაიწყო გმობა და კიცხვა, დაიწყო ამგვარი უმართლო და უმართებულო ჰოლოკების სროლა!...

**

როდესაც „კვალის“ ჩემ მიერ დასახელებულის №-ის კითხვას შეუდგები, ძვირფასო მკითხველო, მე ვიწინასწარმეტყველებ, რომ იკითხამ: „ჰრელს ფიქრებს“ ამ გვარი სახელი რად ჰქვიანო?.. მეც ეგ მიკვირს! მეც მაგას ვკითხულობ და პასუხი ვერ მიმიღია!.. ერთმა მეგობარმა-კი მითხრა: „უმჯობესი იქნებოდა ამ „ჰრელ ფიქრებს“—ჰრელი აზრები ერქვასო“... საშინლად მომეწონა და სრულიად თანახმა გავუხდი: ჰრელი აზრები უფრო სამართლიანი და კანონიერი იქნება, თორემ ეს ხომ კარგად ვიცით, რომ ფიქრები და ოცნება დიდიხანია ზოგიერთებს აუჰრელდენ!.. მე მეშინიან ამ სიჰრელემ მხედველობა არ აურიოს ამ დიდებული წერილების ავტორს და წაატეხოს იმ ალაგს, სადაც ეს მისგან მონათლულნი ნაცარ ქექიებათ ადამიანები სხედან და მათმა ნაცრის ქექამ თვალები არ გამოუმსოს!..

**

მაგრამ არც ეს არის საშიში!.. ამით არც ჩვენი აწმყო და არც ჩვენი მომავალი არ დაიღუპება, რადგანაც ოთხი ბოძი ჩვენის არსებისა ისეთი აღმოაჩინა „ფიქრებ აჰრელებულმა“, რომ იმათზედ, არამც თუ ჩვენი, არამედ მთელი დედა-მიწის ლიტერატურის ბედ-იღბალი და დიდება იმედნეულად დააყრდნობს თვის ტაძარს!... სხვებთა ამ „დედა-ბოძთა“ შორის დასახელებულია ბ. დუტუ მეგრელიც... თუმცა ჩვენ დიდათა გვრწამს მისი დედა ბოძობაც და მისი დიდებულებაც, მაგრამ მე მეშინიან იმისა, რომ, ვაი, თუ ამავე ბოძების გამომჩხრეკმა ეს ბოძები წვრილ, ძალიან წვრილ ჩხირებათა აღთქვას ამ მოკლე მომავალში და ისიც ცეცხლს შეუკთოს!...

მომავალი ყველაფერს გვაჩვენებს!.

**

საკვირველია! — როდესაც ადამიანს თვალ-სჩინოდ დაუსაბუთებენ თავის შეცდომას, მისს დანაშაულობას, მისს სიმჩატეს, მაშინ ორი პასუხი აქვს მომზადებული: ან იტყვის „მე ეგ არ ვიყავი; მე ეგ არ მითქვამს, მე გამახელეს; მე სხვა მინდოდა და სხვა... და ან ყველას გინებას, ლანძღვას დაუწყებს და ეტყვის—ჩემს დიდებულ ქადაგებას თქვენ ვერ მიხვდებით, თქვენ სულელები და მეტიჩარეები ხართო... სწორედ ამ გუნდს ეკუთვნის „ფიქრებ აჰრელებულიც“. ყველა კუდაბზიკები არიან და კაჭკაჭებიო, ვინც რასმე სწერს და ან ამბობს. ნაცარქექიები არიან ყველა, ვისაც ისეთი ღრმა ცოდნა და მეცნიერება არ ეტყობა, როგორც დუტუ მეგრელს და სხვ... განვითარება და მეცნიერება საჭირო არის და მხოლოდ ესენი (დუტუ მეგრელი და სამი სხვა) არიან პირველი მერცხლები მომავალი გაზაფხულისაო.“

ვინ გაბედავს, ვინ დასძრავს კრინტს იმს წინაამდეგ, რომ განვითარება და მეცნიერება საჭიროა და ძალიანაც საჭირო; რომ უამათოდ ადამიანი, თუ გინდა დიდის, საოცარის ნიჭის პატრონიც იყოს, ვერას გახდება, არაფრადა ღირს!.. მაგრამ რატომ თვით „ფიქრებ აჰრელებული“ არ მისდევდა და არ სდევს ამ საუმჯობესო ცხოვრების კანონს და რად აძლევს ნებას ვისიმე (იხ. Нов. Обоз. 1889 წ. ნ. ნიკოლაძის წერილი) სთქვას, რომ „თუმცა აკაკი წერეთელი დიდი ნიჭის პატრონია, მაგრამ ეს ნიჭი მან დამარხა მით, რომ მას ცოდნა და განვითარება იოტის ოდენაც არ მოეძევებაო“!.. რად არ გასცა ამ გვარ გამოცხადებას მან პასუხი და მკაცრი პასუხი?

მისათვის, რომ ჭეშმარიტების წინააღმდეგ ომი და ბრძოლა ძნელია!.. სხვის თვალში რომ ბეწვს იღებდე—შენს თვალში დირე მაინც უნდა შეამჩნიო...

**

კაჭკაჭის უმთავრესს თვისებას ის შეადგენს, რომ დაიზეპირებს ერთს, ანუ ორს სიტყვას და ანუ მოკლე-მოკლე წინადადებას—და დილიდამ საღამომდე მათის განმეორებით სულს და გულს შეგიწუხებს!.. თუ უთმენენ მას ამ გვარ განმეორებას—ეს იმისთვის, რომ ის კაჭკაჭია!.. მაგრამ რა გვარად უნდა შეურიგდე იმ მოვლენას, როდესაც ადამიანი გაკაჭკაჭდება და ყოველ საკითხზე რასაც მას ჰკითხვენ ხოლმე მასვე გიპასუხებს: „მარტია! მარტია! შაქარი გინდაო?!. სწორედ ამასვე მაგონებს „ფიქრებ აჰრელებულიც“: რაც უნდა ჰკითხო, რაც უნდა გაამტყუნო, რაც უნდა მისი შეცდომები და ჭეშმარიტ გზიდამ გარდახვევა აშკარად დაანახო, დაუმტკიცო,—მაინც ყოველივე ამას გვერდს აუხვევს, პირდაპირ პასუხს არ გასცემს, რომ ამგვარად ასცდეს როგორმე მისთვის არა სასიამო საერო მსჯავრს და იმეორებს: „მე სხვა ვარ“; „მე დიდი ხანია წარმოვსთქვი“; „მე ზეშთაგონება მწინამძღვრობს და სხვასკი ნაძალადევი არარაობა“; „მე ვარ მოძღვარი“; „მე გული მტკივა იმაზე, რომ ფრაკოსანი ჩოხოსანს ემტერება“; „თქვენ კაჭკაჭები ხართ, ნაცარქექიები, კუდაბზიკები, რომელნიც აღიხოცებით მიწის პირიდამ, როგორც მტვერი“ და სხვ...

რამოდენჯერაც ხელში კალამს აიღებს და რომელიმე დანაშაულობაში თავს მართლულობს—ამას იმეორებს დაუღალავად და გაუთავებლად!..

ახლა ნება მიბოძეთ გკითხოთ: ვინ არის კაჭკაჭი?.. მაგრამ, უკაცრავად, იქნება იმისთანა ბობოლამ იუკადრისოს კაჭკაჭობა და რომ საყვედური არ გვერგოს უმართლო წოდებისათვის; რომ ყოველივე მისგან ამ ბოლოს დროს ნათქვამი ავსწონ-დავსწონოთ და მისი მოღვაწეობის ხანაც სახეში მივიღოთ და ისე შესაფერად მივაწოდოთ სახელი, მოვახსენებთ:

კმარა, ამოდენჯერ ერთი და იმავე აზრის... უკაცრავად... სიტყვ[illegible]ის განმეორება, ბატონო კაჭ-კაჭისიმუსო!..

ვინმე

ორატორი „გილო“. მე კიდევ ეს ამიხსენით, ვინ ჩააჩუმა „ცალკე აზრის მქონე“ წევრი მმართველობისა.

აქ ყუთებსა სდგამენ და კენჭს უყრიან მეოთხე წევრის თანამდებობის დაწესებას. „მიშო“ ბალში გადის და ბურუსიც თან მისდევს. „გილო“ აცხადებს, ასისტენტად მევე ამომირჩევია ჩემი თავიო, და სცენაზედ ადის. თეთრს ყუთში 348 კენჭია, შავში—250. ოპოზიციას ძალიანა სწყინს, რომ მმართველობის მეოთხე წევრიც უნდა იყოსო. აქ ორატორმა გილომ თავის გაროზგვა მოისურვა პრასკოვია პაშლიოპკინსავით და გამოაცხადა:

— ეს არჩევანი უკანონოა, რადგან ჩემის სურვილითა და თანხობით ჩემმა დამ კენჭი ჩააგდო დედიჩემის მაგიერადაო.

აქ კრებამ, რაც-კი სირცხვილი იყო, თავზედ დააყარა უცნაურს ასისტენტს და ბალში გავიდა.

ბალში ორატორს „მიშოს“ წაუდგა წინ ერთი განრისხებული თავადიშვილთაგანი და ეკითხება:

— რა ნება გქონდათ, რომ თ. გრ. ორბელიანი ახსენეთ? თქვენ განა ღირსი ხართ იმის ხსენებისა?..

ორატორი „მიშო“. მართალია, ღირსი არა ვარ და არც უნდა მეხსენებინა, მაგრამ წამომცდა. ბოდიშს ვიხდი, ბურუსში მომივიდა. ძნელია ბურუსის დროს ლაგამ-აშვებულის ენის დაჭერა. ეხლა აბა ჩემს გულში ჩამოიხედეთ და ჰნახავთ, შიგ რამდენი რამ ტრიალებს...

— უკაცრავად, მე არც ჩვეულება მაქვს და არც სურვილი, რომ მაგისთანა ალაგში ჩავიხედო...

მსესხებელი

## კორესპონდენცია

—

**ზემო-თიანეთი,** 20 მაისი. წელს თიანეთში მეტად სასტიკი გაზაფხული იყო: თოვლ-ჭყაპი, წვიმები, ლაფები; ლაფებმა ხომ თავი მოაბეზრა ხალხს. გარედ ადამიანს ფეხის გადადგმა არ შეეძლო. მოუსავლობით დაღონებული და გაწყალებული ხალხი იოლად იმით მიდიოდა, რომ აქაიქ გარბოდნენ სამუშაოდ და ორიოდე გროშს შოულობდნენ, მაგრამ ამ გაზაფხულის ცუდმა ამინდებმა ძლიერ შეაწუხა ხალხი: გარედ ველარ გამოდიოდნენ, მუშაობა აღარსად იყო, არც შეიძლებოდა ლაფების გამო. ხუთი-ექვსი წელი იქნება, რაც მიბრუნდა ჭირნახული და ლამის ხალხიც თან გაჰყვეს ამ მოუსავლობას. წელსაც უამინდობის გამო ბევრი უხნავად დარჩა და ახლა-ღა ჰხნავენ. აბა რამ უნდა შეინახოს გლეხის ოჯახობა, რომელსაც ცხოვრების წყაროდ არავითარი სახსარი, გარდა ხვნა-თესვისა არა აქვს.

ყანებს ამ ცოტა ხანებში კარგი ფერი დასდებია. ღმერთმა თუ ინება და მოჰხედა სოფელს და ციდამ არაფერი აუტყდა, იქნება წარსულის წლების მოსავალს ამ წლის მოსავალმა აჯობოს. ძლიერ ემადლიერებიან ზემო თიანელები თავიანთ წინანდელს მოძღვარს. იმათის სიტყვით, სამაგალითო გულ-კეთილი და ხალხის დამრიგებელი მოძღვარი ყოფილა და კიდევაც თავის მრევლს შესაფერი სახელი დაურქმევია: „ანგელოსი ღვთისნიერიო“. ჩვენი გლეხ-კაცობა, თუმცა მოკლებულია განათლებას და ჭკუა-გონების განვითარებას, მაგრამ იმდენი ჭკუა მაინცა აქვს, რომ დაინახოს და დააფასოს, ვინ როგორ ჰმოქმედებს მათთვის. ვისურვებთ, რომ ახლად გადმოყვანილმა ზემო-თიანეთში მოძღვარმა მიჰბაძოს თავის წინამოადგილეს და დაიმსახუროს ისეთი პატივისცემა და სიყვარული თავის სულიერ შვილებისაგან, როგორიც მისს წინამოადგილეს დაუმსახურებია.

ი. დ. ლ—ვი

## ბიბლიოგრაფია

—

გამოვიდა ახალი სათამაშო სახელად „საფრანგეთის გამოჩენილნი მწერალნი,“ რომელსაც საალმზრდელო მნიშვნელობა აქვს. ამ სათამაშოს მომგონი მასწავლებელი ფრანგულის ენისა და ლიტერატურისა ქ-ნი გენდრიკსი სცდილა, რომ ეს სათამაშო ერთსა და იმავე დროს სასიამოვნოც იყოს და სასარგებლოც. ბარათები, რომლებსაც წარწერა აქვს სალიტერატურო შინაარსისა, უმთავრესი კუთვნილებაა ამ სათამაშოსი. ამათ ფრანგულის ლიტერატურის მცოდნე განიმეორებს იმას, რაც იცის, და უცოდინარი შეისწავლის. ეს აზრი ახალი არ არის. ბევრს ეცოდინება ამ გვარივე თამაშობა „რუსის მწერლები“. ფრანგული სათამაშოც იგივეა. სრული აღსნა სათამაშოსი სათამაშოს უუთშივეა. ყუთი მშვენიერია, წიგნის მზგავსად გაკეთებული და შეიძლება დაცულ იქმნას წიგნებთან ერთად წიგნთსაცავში.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

გულითადს მადლობას ვუხდი ყველას, ვინც პატივი მცა და დაესწრო ჩემის მეუღლის კნეინა მარიამ ნიკოლოოზის ასულის მაყაშვილის დასაფლავებას 24 მაისს და აგრეთვე იმათ, რომელთაც სამგლოვიარო წერილით თვისი მწუხარება გამოუცხადეს ჩემის მეუღლის გარდაცვალების გამო.

თავ. დ. ს. მაყაშვილი

—

II

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ უგულითადესი მადლობა გამოუცხადო კნეინა ნინო სიოს ასულს გურიელისას, რომელმაც ათი მანეთი შემოსწირა აკეთის სახალხო წიგნთ-საცავს.

ვისია თავდგირიძე

## დეპეშა

30 მაისი

**პეტერბურგი.** გუშინ დიდმა მთავრინამ ელისაბედ მავრიკის ასულმა მოილოგინა და მიეცა ვაჟი რომელსაც სახელად უწოდეს იგორი.

**პარიზი.** რუსეთის ელჩმა დღეს გადასცა „Palais de l'jndustrie-ში რესპუბლიკის პრეზიდენტს მეუღლეს ალბომი „კრონშტადტ-ტულონი“. ნაჩუქარი რუსის ქალთაგან; ალბომში მოთავსებულია 24 სურათი სხვა-და-სხვა წოდების ქალებისა და ხელმოწერილია იმათაგან, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ საჩუქრის ყიდვაში. ალბომის გადაცემის დროს დაესწრნენ თვით პრეზიდენტი კარნო, მინისტრები და რუსეთის საელჩოს ყველა წევრნი.

**ბუდაპეშტი.** იმპერატორმა ოი-მ წონა ვეკერლეს-მიერ წარდგენილი სია ახალი სამინისტროსი. ამ სიაში ჩამოთვლილია ყველა უწინდელივე მინისტრი, გრაფ ტისსასა, ჩაკისა და ბეტლენის გარდა.

**ლონდონი.** მაროკოს სულტანი გარდაიცვალა ფეცში. შიშობენ უწესოება არა მოხდეს-რაო. ლონდონის ერთს ბანკირს ამბავი მოუვიდა, რომ სულტანი, მოკლულიაო.

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდი, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროცასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ამ უკანასკნელს ტფილისის ბანკის კრებებზე შეცდომით სამხედრო შინელი შეუცვალეს ბ-ნს ფავლენიშვილს. ვსთხოვთ ვისაც წაუღია ზემოხსენებული შინელი უკანვე დააბრუნოს სათავად-აზნაურო ბანკში და თავისი შინელი მიიღოს. (3—2)

---

**500 წიგნი** ინგლისური, ფრანგული და ნემეცური მეოთხედ ფასად ისყიდება უფალ მ. მურტაგთან, რომელიც ინგლისში ბრუნდება. ადრესი: ლაბორატორის ქუჩა, № 4, ეზოში, 10-დამ 3 საათამდის.

იქვე იაფად: ბროლის სათვალეები, სკრიპკა, ფლეიტა, „rewues“ შვიდ კაპეიკად. (4—1)

## „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/_2$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოოზის ქუჩაზე, 21.

## ახალი ამბავი!

## ლამპრის პატრუქები

გაქლინთულია ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძლიერ ნაკლებად იწვის

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს, სადაც თვეზედ მეტია ჰხმარობენ და ამ ერთის თვის განმავალობაში ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

26 აპრილიდგან ამ პატრუქების სყიდვა შეიძლება შემდეგ აფთიაქის მაღაზიაებში:

პაპოვისა—მიხაილოვის ხიდზედ „გრანდ-ოტელის ქვეშ.

ა. ს. არისტაკოვისა—ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ და ვერაზედ, მაკაროვის სახლში.

კონსტანტინე ვართანოვისა—კუთხე მიხეილისა და ალექსის ქუჩებსა № 51, 1.

მაღრამისა—ავჭალის ქუჩაზედ.

ა. ზ. როსტომოვისა—პუშკინის ქუჩაზედ, ერევნის მოედნის პირდაპირ.

დ. მ. მირზოევისა—შუაბაზარში, მანთაშოვის სახლში.

ქ. ფ. ჯანაღოვისა—რიყეზედ, მადერის სახლში და

ჰაჯი-ბაბა-ალიევისა—თათრის მოედანზედ, ნარიმანოვის სახლში.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზედ დაბეჭდილის ასოებით. პატრუქების ყიდვა შეიძლება, აგრეთვე თვით ამ პატრუქების მომგონთან, რიყის ქუჩაზედ, სახლი № 41, სადგომი მუჰამედ ხაჯიევისა. (15—11)

---

## ასაპარელო ესსენცია კოლბეირსა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიკზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი



რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.